საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოშკები

კოშკები, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის გორის მუნიციპალიტეტში (სკრის თემი), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 780 მ, გორიდან 13 კმ, სკრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 კმ. 176 მცხ. (2014).

სოფელში, შალიკაანთ უბანში, მთის ფერდზე დგას განვითარებული შუა საუკუნეების არქიტ. ძეგლი „ეკლესია საწყალი“, სოფლის განაპირას, სკრის ხეობაში – გვიანდ. შუა საუკუნეების „ტყუპის ეკლესია“, ხოლო სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, მაღალი მთის ფერდობზე – X–XI სს. შალიკაშვილების ეკლესია (ღვთისმშობლის ეკლესია). ყველა აღნიშნული ეკლესია დარბაზულია. სოფლის სამხრ-ით, მდ. სკრის მარჯვ. ნაპირას, ფერდობზე დგას XVII ს. კოშკი. მიეკუთვნება ე. წ. ზურგიანი კოშკების ტიპს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. თბ., 1990.